



სამეცნიერო და სალიტერატურო ნახაზებიანი გაზეთი. გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 36.

აპრისტოს 29, 1893 წ.

№ 36.

შინაზნა:—მკრტირ ბრიმინი, ქათალიკოსი სრულიად სამშეთისა გ. წერეთლისა. —წლევანდელი ზოლერობა გ. წერეთლისა. —პასუხი, ლექსი ზანანასი. —სკაფანდრა XX-სა. —ივერისი ეკლესია. —ვილიამ შექსპირის ს. დ-ძისა. —კრედიტი და მისი მნიშვნელობა. გველშინან სა —დავრიში დ. ტ-დ—ცისა. —სხვამ რაკ უნდა თქვას ე. ნინო შვილისა. —სახუმარო გასართობი. —განცხადებანი.

მკრტირ კირეული

ქათალიკოსა

სრულად სამშეთისა.

შვა, მოველს კაცი, სარწმუნოებით. აღკურვილი და არ უფრო თხის ნარეკალსა. ყოველს ერის ცხოვრებაში, რომელიც გამსჭედილია თეავსხსნის სარწმუნოებით, ხან და ხან დგება ისეთი წამი, როდესაც მასში კეთილი თესლი დამწიფდება და მოველინება კეთილი მომკალი, შემკრები საუნჯისა.

მკრტირი იყო ქრისტეს საფლავთან და ბინავებული და ლოცვა ვედრებით ელო-



და საუკუნო განსვენებას ძველს სიონში, როდესაც უზუნაესი განგებითა იგი მოუწოდეს სრულიად სამშეთის კათალიკოსად ერმიოძინში და მთელის ერის წინამძღვრად.

„მე ფიქრადაც არა მკონიაო, უთხრა მან ერმიოძინიდან წარგზავნილთა წარმოამდგენელთა, რომ მიმიწვევდნენ ასეთს მაღალს და მძიმე ალაგზე. ვიჯექრა სიონში, ემლიძარებდი და ვევედრებოდი ღმერთსა, რათა მას მოველინა ღმერთსა მე მკვიდრე წმინდის განმანათლებელის გრიგოლის ტახტისა. მაგრამ მე ვარ აღკურვი-

ლით. დემუროვისა თბილის.

ლი სარწმუნოებითა და მრწამს სიტყვა მოკეტულისა პავლესი: „კეთილ ნება ღმერთსა სიკოფითა ქადგებისათა დაეფარა სარწმუნოება, რამეთუ სიკოფე ლეთისა არს უბრძმვის კაცთასა და დაერდომილება ლეთისა უძლიერესი კაცთასა.“

მართლაც ვინ წარმოადგენდა, რომ ერთის ეანის ღირსის მოხელე კაცის ობოლი, რომელიც მწყობდა თავის ბიძის ცხერებს ეანის კლდეებში სამოცდაათ წელს შემდეგ ვახდებოდა სომხის ერის იმედით და სიყვარულით დაჯილდოებული მამათ-მთავარი. მთელი ორომოც-და-ათი წელიწადი ამ სახელოვანის კაცის მოღვაწეობისა არის დაუცხრომელი ბრძოლა და თავგანწირული ტანჯვა სომხის ერისა და სარწმუნოების გულისათვის. კაცის ანგარების მოყვარებით სავსე გული ვერ აიტანდა წმინდა უზადლო ცხოვრებას მისას და მისივე წოდების საღვდლოება ეძებდა ყოველ ღონისძიებას დაეღუპა ეს ლეთისგან ამორჩეული კეთილმსახური. ერთხელ ეელური ქურთი მოისყიდეს მკრტიჩის მოსაქლავად. მაგრამ ამ უგონობელს კაცსაც ხელი აუჯანკალდა, როცა დაინახა სათნოებით სავსე მკრტიჩის სახე. ის დაემხეა ძირს მის წინაშე და აღიარა მოსყიდულის: მკლავლის ცოდვა. მკრტიჩმა ააყენა იგი და ქრისტეს სახელით შეუნდო მისი ბოროტ-განზრახულება.

დღეს ეს წმინდა კაცი მგზავრობს იერუსალიმიდან ემიძიანძლის სომხეთის სამწყსოსა საპატრონოდ. იგი მძილეს დიდებით აღექსნაღირაში; თვით ეგვიპტის გამგემ მიართვა მას თავის საკუთარი ეტლი სასახლეში მისაწვევად, ინგლისის მთავრობამ სადარაჯო ჯანის დახვედრით პატივი სცა მას. ერთი კოხტი ალექსანდრიის ქალაქისა, სადაც ქათალიკოსი განსიყენებდა, ჩირაღდნით იყო განათებული. იმ გვარივე პატივი სცეს ავსტრიის დედა-ქალაქში ეენაში. იქ მიეგებენ ქათალიკოსს წარმომადგენელი პარიკელ სომხებისა ატანიკ ევარიანი, ლონდონიდან — პოლოსიანი, მანჩესტერიდან — პარონიანი და გრიგორისიანი, პარიკელ სომხის სტუდენტებიდან მელიქ-ბაბტამიანი. აქვე შეხედენ მას რუსეთისა და სპარსეთის წარმომადგენელი; გადმოვიდა თუ არა რუსეთის საზღვარზე ეოლორისკას, მას დაუხედა კიშინეის ეპარხიის საღვდლოება ენისკოპოსის ალაკიოანის მეთაურობით; ოღესაში რკინის გზის სადკურზე დახედენ ქალაქის მოურავი, ქალაქის თავი და წარმომადგენელი მოსკოვის, ნახიჩევანის და სხვა რუსეთის კუთხეების სომხობისა. ეკლესიაში მივება სიტყვით არქიმანდრიტი სტეფანი.

რა არის მიზეზი ასეთი საყოველთაო პატივისცემისა?... მან დაიშახტრა იგი პრავალ ქველმოქმედებას გარდა ერთი დიდი საქმით: 1878 წელს, მან მიპაჩარა ევროპის სახელმწიფოების წარმომადგენლებს და შეევედრა მათ უფრადლება მიეკციათ ოსმალეთის სომხების გაჭირებულ მდგომარეობისათვის. მისი მეგობრით შეთხზულ იქნა 61 მუხლი ბერლინის ტრაქტატისა, რომელშიაც ვალად დასდევს ოსმალეთის ხეან-თქარა, რომ მეფრეკლობა გაუწიოს სომხებს და კანონდებით გააუმჯობესოს სომხის ხალხის მდგომარეობა. ახზიებისკოპოსმა სედრაქიანმა იერუსალიმს წარმოთქმულს სიტყვაში ლაღაძყო ქათალიკოსს: „ქეშმარიტად დიდთ საღვდესანწაულთა ჩვენთის ეამი ესე, როდესაც კვერთხი თარგამოსიანთა ლეღელთმთავრობისა ბრწყინავს ძლიერსა პარჯვენსა შენსა და ძეგლი სიონი, მოწამე მრავლისა საკვირველებისა, შეგუერებს შენ, როგორც დიდს მამათმთავარს ახალის სიონისას, მოეღენილს ლეთის მოწყალეებად ახალ სარაილთათვის... ქეშმარიტად დღევანდელი დღე სანეტარაა ყოველ ქვეყნის კუთხეში ვაჟანტულითა სომეხთათვის, რომელთაც აღუსრულდათ დიდხნის წადილი შენის წინამძღვრობისა. მაგრამ ეს გულმხურვალე მათი წადილი გუშინ და გუშინ-წინიდან მართო კი არ დაბადებულა, არამედ იმ დროს აქეთ, როცა შენ განიზრახე კიღობანი შენის მოღვაწეობისა დაეყენებინა გარჯარაცის მთაზე, რომელ არს შენი სამშობლო. იგი ვერ კისრულობდა მიღლოთის საწყალს წიაღში შენი დიდებულება და მხად იყო ეტევა შენთვის: „წარევედ მასისისა (არარატის) მთასა, რამეთუ იგი უღიღეს და უმაღლეს არს ჩემსა“. ამით სედრაქიანი მოაგონებს მიკრტიჩს, რომ შენ გინდოდა უკანასკნელი დღენი შეიღობიანად გაგეტარებინა შენს მამულში ეანში, გარჯარაცის კლდეების მახლობლად, და განეყენებინა მომავლის მოღვაწეობისაგან, მაგრამ საღვთო განჯებამ გარჯუნა უფრო დიდ დანიშნულება, რომ დამკვიდრებულიყავო ემიძიანის ტახტზედ, არარატის მახლობლად, და მოგველო მთელის სომხეთის ერისთვისო.

„ორომოცის წლის წინათ, როცა კოსტანტინოპოლში ეიჯეკო — უპასუხა მას ქათალიკოსმა, მე ესწერი დიხულებს, სახელად: „მშობელი არარატის ქვეყნის მცხოვრებთა“. მე მაშინ მართლაც ეიწვედი დაბნულს სომხის სამწყსოს, რათა იგი შემოკრებილიყო არარატის გარშემო, წმინდა ემიძიანში. აწ თვით მე მიმიწოდეს მასისის მთის ძირად, წმინდა განმანათლებელის ტახტზედ. კურთხეულ არს უფალი“.

დღეს, როდესაც ჩვენ ვხედავთ, რომ ეს ერთი ფეხზე დგება, ვინ იქნება ისეთი გულდასაშვული, რომ დატყეპილი ერის ნელნელა ფეხზე წამოდგომა არ ახარებდეს. სოაზის ერთი, ეს ჩვენი მახლობელი დღეს განაზრებულია მითი, რომ მან მოიპოვა თავის

ქვეშაირიტი მამა და წინამძღვარი, რომლისგანაც იგი ბეგრის სიკეთეს მოვლის. გულწრფელი თანაგრძობით ევკებებით მათს სიხარულს, რადგან გვახსოვს სახარების სიტყვები: „რომელითა საწყაულითა მიუწყეთ, ვერკეთითა მიუწყეთ თქვენ“.

გ. წერეთელი.

წლეუნიდელი ხოლერობა



ამდენად ნაკლებია წლეუნიდელი ხოლერობა ტფილისში შარშანდლისაზე, ამას ცხადათ დაგვიტყვიან ყოველდღიური ავად-მყოფეების რიცხვი და მისი ხანგრძლივობა შარშან და წელს რომ შეეძარათ ერთმანეთს. პირველი შემთხვევა შარშანდელის ხოლერობისა მოხდა იენისის ათს და გახდა ერთი ავად, იენისის 18-ს გახდა ხუთი კაცი, იენისის 22-ს — 7, იელისის 1 ს — 9 კაცი, იელისის 6-ს — 15, იელისის 7-ს — 18 კაცი. იელისის 7-დან 29 მდის ხან მეტი იყო ყოველდღიურად ავადმყოფი, ხან ნაკლები, მაგრამ დღეში თერთმეტს რიცხვს არ გადაცილებია. ამას შემდეგ ხოლერობა იკლო ქვემოხსენებულ ნაირად: იელისის 30-ს ჩამოვიდა დღიური ავადმყოფების რიცხვი ცამეტამდის, აგვისტოს 1-ლს გახდა ავად 12 კაცი, აგვისტოს 2-ს — 10 კაცი, აგვისტოს 3-ს — 9 კაცი და ასე ნელნელა ორზეა ძირს, ბოლოს ეკენისთვის 22-ს ჩამოვიდა ორზე. ლეონობისთვის 22-ს გახდა მხოლოდ ერთი ავად და შემდეგ ხოლერაც მოისპო. ამ სახით შარშან ხოლერა დაიწყო იენისის ათს, ძალიან მძინვარებდა იელისის შეიდიდან ოცდა ცხრამდის. დღეში ჰხდებოდა ავად შეიდეტი, თერამეტი კაცი. შემდეგ დაიკლო და ლეონობისთვის გასულს სულ გადაკვეთა. სენი გაგრძელდა მთელი ოთხი თვე.

წელს პირველი შემთხვევა ხოლერით ავადმყოფისა იელისის 28 მოხდა, თითქმის ერთი თვით უფრო გვიან, ვიდრე შარშან. ამ დღეს გახდა ერთი კაცი ავად, შემდეგ ხან ერთი ჰდებოდა დღეში, ხან სამი; უფრო მძინვარედ იჩინა თავი თერთმეტს აგვისტოს. ამ ერთ დღეს გახდა ავად შეიდი, მეორე დღეს, ესე იგი აგვისტოს 12 ჩამოვიდა ჭუთზე და მას აქვთ ხან სამი გახდებდა, ხან ორი, ხან ერთი, ხან არც ერთი. დღემდის ასე კანტი-კუნტათ მიდის საქმე. რაკი ავარილდა, იმედია, ენკენისთვის აღარ გაჰყვება. აქედან მკითხველი ცხადათ დინახავს, რომ წლეუნიდელი ხოლერობა ტფილისში შარშანდელთან შედარებით ძლიერ სუბუქია. როგორც კი გაჩნდა ხოლერა წელს, მაშინვე შეუდგა ქალაქის გამგებმა ფიცხელ განკარგულებას და კარგ ღონისძიების ხმარებას.

ძალიან დაეხმარა წელს ხოლერის ბრძოლას შარშან შემოღობებული კარგი დაწყობილობა.

შარშანდელმა საბჭომ ისეთი დაწყობილობა შემოილო მკურნალობისა და იმდენი ფული გადასდგა ხალხის სასიძთელოთ, რომ სწორეთ ქების ღირსია და წელს თუ იმდენად აღარ გაძლიერდა ტფილისში ხოლერა, ამის მიზეზი უფრო წარსულის წლის საბჭოს სიუხვე და მისი გონიერი მოსახრება იყო მიზეზი. შარშანვე გაჰყვეს ქალაქი ექვს ნაწილად. თითოეულს ნაწილს თავის საქალაქო ეკიმი მიუჩინეს, რომელსაც ევალად დაადგეს შეუძლო ხალხის პატრონობა და იმათი უსასყიდლოთ ექიპობა. ეს ექვსი ქალაქის ეკიმი დაუმორჩილეს ერთს უფროს ეკიმს, რომელსაც უწოდეს ტანთელოზის ზედამხედველი (სანიტარუი ინსპექტორი). ბეგერი შარშანდელი მოწყობილობა, ნაყიდი ნივთები და შენობა გამოადგათ წლეულს ხოლერობის დროს, მაგალითად განმარტონებელი სადგომის მოწყობილობა (дезинфекционная камера, რომელსაც მიზენილი ჰყავს ცალკე ეკიმი და იქ სწვენ და ჰკურნებენ ხოლერაინის ქვეშავებს, ტანსაცმელს და ყოველნაირს მის სახმარებელს ქურტელს. არა ნაკლები დავალი მიუძღვის წელს ხოლერის ბრძოლაში ტელეფონს. ყოველ დაწესებულებაში ტელეფონის სადკურებია გაყვანილი, ასე რომ სადაც უნდა გახდეს ხოლერით ავად, მაშინვე იცის ეს აზბავი პოლიციის გამგემ, ქალაქის თვამა, ტანთელოზის ზედამხედველმა და საგუბერნიო და სამკურნალო დაწესებულებათა. იმავე წელს აღდენენ შესაფერის განკარგულებას, რომ სენი ალაგობრივ მოაშთონ.

რაკი ამდენი ღონისძიება ხელთა აქვთ ტფილისის წინანდელის ქალაქის საბჭოს წყალობით, რომლის დეაწლი სწორეთ მოსაგონებლად უნდა დარჩეს, თვით მსხორებულეტიც ისე გულდამშვიდებულნი არიან, რომ თითქმის ხოლერა არც კი იყოს. სამწუხაროდ ამასვე ვერ ვიტყვით ქუთაისის გუბერნიაში. საოცარმა შემთხვევამ მარტვილის მახლობლად, სადაც ხოლერით მკვდარი თურქი უპატრონოდ დადგეს ძალღების შესაქმელად, ძალიან უნდა შეარცხენოს მთელი განათლებული თამბა ქუთაისის გუბერნიისა და განსაკუთრებით ქუთაისის ქალა-

ქისა, სადაც ამდენი ინტელიგენტები არიან და არ უნდათ ქველმოქმედებისათვის ჩელი გაანძობონ. იმის მაგიერად, რომ სხვილ-სხვილი ფრაზები სწერონ გაზეთში და იბაქი-ბუქონ, ბეგრად სჯობდა საქმით დაემტკიცებინათ ხალხისთვის თავისი თანაგრძნობა და ერთგულება. ბეგრად სჯობდა ქუთაისის ბულვარზე ეიზანტიურს ბაასს, გასულაყვენ სოფლად გაქირებულუბისათვის და ხოლგრით ავთიშკოფებისათვის

ეპატრონებით და მოველოთ. მხოლოდ კეთილი საქმით შეიძლება კაცმა ხალხის გული მოიგოს და არა მსხვილ-მსხვილი ტრაპაზა წამოქადებით, რომ ჩვენა ვართ მარილი და მალამო ქვეყნისა და სხვა არაიენო.

საქმე სსკვას, სიქუვას სსკვას,
შუას უქნას დადი ზღვარი.

ბ. წერეთელი



კ ა ს უ ს ი

ს კ ა ფ ა ნ დ რ ა



ითხარ, კესანე,*)
შენი კენესა მე,
პატარაე, თეთრო,
მთაზნდ მოსულო,
სიმარტოკაეე არ მოგაწყინა?

— რა გენა? რა ეფუო
ამ მაღალ მთასა?!

ყველა უფროთხება აქაურ ქარსა,
მე კი ჩამბეჭრა ამის სურვილი

გადავიხრები,
დავეკონები,

დავეტოლები ლამაზ გულზედა,
და ეფუნები სიყვარულზედა.

ხმას არ გამოძეკვს,
არაფერს მეტყვის,

დამაქტრდება მარტო პირზედა.
ზეცა გაუხდა იმას ჭირადა
და სამუქაროდ შავი ღრუბლები.

მინდა მოეშორდე,
ვერა ეშორდები!
რამ დამიწერა?
მადლობა ღმერთსა,
არ ვევიწყდები.

ლამ-ლამე მომდის ანგელოზები.
დამისწდებიან ვარეშგზოსა
და მიგალოზენ ხმას საამოსა.*

— მეც დავიბადე შენსაეთი მთაში
და გავიზარდე სიმარტოკეში.
დადევიარ, დადგრწი ამ ქვეყანაში,
მაგრამ არ მომდის არაიენ თელში.

ჯანი მთელი მაქეს,
გული კი არა.
რალაც მაკლია,
რალაც მწყურია.*

კესანემ მითხრა: — მეც მართალია,
როს კაცს აკლია სიყვარულია.

1889 წ.


ბაჩანა.



მ სახელს უწოდებენ ერთ ნაირს ტანთსაცმელს.
რომლის საშუალებითაც კაცი ზღვებისა და
მოკეანების ძირებში დადის და დაექმებს ან
მარგალიტის სარდაფს, ან დაღუპულს ან ჩაძირულს
ხომალდებს, ან კიდევ რომლისაემ ღრმა მდინარის
ძირებში კლდის მწვეტიან, ზეით ამოჩრილოს, კორ-
ძებს, რომ იმას შეუღოს ნაპარალებში ღინამიტის
ნაღმები, აფეთქოს, დაანგრეოს და გემების საშიში
კლდის ჩირები მოსპოს.

სკაფანდრა კეთდება ორმაგი გუტაპერჩისაგან,
რომელსაც შიგნით წყალი ვერ შეატანს. ეს თავი-
დან ბოლომდის ერთიანი გუტაპერჩის ტომარა არის;
ზედა-ტანი და ქვედა-ტანი გვერთებული აქეს, ასე
რომ კაცი როცა ჩაიკეცოს, თითქოს თავიდან ფეხ-
ბამდის სულარში ეხვევა. შემდეგ ჩაცმისა კისერზე
შემოერთყმება რეზინის რგოლი, აგრეთვე ნიდაყუზედ,
მუხლებზედ და თითების სახსრებთან, რომ ხელების
ხმარება შეეძლოს. მაგრამ წყალმა რომ კაცი არ
აიფიროფიტოს, მკერდზედ და ზურგზე დააკერენ მძიმე
რკინის ფარებს, აგრეთვე ფეხების ძირებში, რომ
წყალში მავალს შეეძლოს წყალშიაც ისე დგომა,
როგორც ხმელეთზე. თავზე კისრამდის ჩამოაცმენ
რკინის კოთხოს, რომელსაც შუშის სარკმელები
აქეს დატანებულნი: ორი თელმებთან, ერთი ზემოდ
თავზედ და ერთი ყურის სისწერზე. თეთი რკინის
კოთხოს მიამბული აქეს გუტაპერჩის მილი, რომე-
ლიც ზღვას ზემოთ დაის, სადაც მას ყარაულოზენ
ნაეებით და ამ მილით სასუნთქებს ჰაერს უზნაიენ
ზღვას ძირში მოსიარულე კაცს, რომ სული არ
შეგებუთოს. ბეგრს შიშშია წყალში მავალი, რადვან
ზღვაში ისეთი თევზებია, რომ კაცებსაც სჭამენ, ან
შეიძლება გუტაპერჩის ტანსაცმაში გაეტეს, წყალი
შეუთიდეს და დაინთქეს, ან კიდევ სხვა რამე საშიშმა
ცხოველმა მავალს გძელი თათები და დაღუპოს.
ერთი ამისთანა საშიში ცხოველი არის ზღვის ცხრა-

*) კესანე—პაწაწინა ყვავილია მთისა.



თათა, ანუ მეღუზა. მისი გმელი თათები საყენზე მეტია სავით. მას ასხია თაგზე რეა, ან ცხრა ამის- თანა თათი და რასაც მოავლებს ხელს მშვილობით, ხშირად ცხრა-თათა ისეთი ღონიერია, რომ მომცრო აფრიან გემებს ჩაიტანს ზღვის სივრცეში.

აქ დაბატულია ერთი სახელ-განთქმული წყალ- ში მავალი, სახელად **სმუღა**, რომელიც სკაფანდრა- ჩაქმული ღრმა მდინარის მოინის ძირში მუშაობდა. იქ ამოჩრილს კლდის წვეტებს დინამიტის ნალმებს უღებდა. ერთ კლდის ღრატოში რომ შეყა ხელი

დინამიტის შესადებათ, უცბათ მას რალმაც მძლავ- რად შემოახვია ღონიერი თათი და აღარ უშვებდა. დაუწყო ამ საოცარს ცხოველს რკინის უროს ცემა და ნახევარ საათის განმავლობაში ბეჭრგან დაგლიჯა ეს ცხოველი. რათოც იქნა კლდეზე მიკრული ცხო- ველი კლდეს მოაშორა და ამ დროს მდინარის ძი- რიდან აწომა წყლის ზემოთ მის დარაჯებს თავის საშიში მღკამარგობა. იმათ მაშინვე ამოათრის სმელი, რომელსაც წელზე ჰქონდა სხვილი თოკი მობმული. სმელს თან ამოჰყვა უშველემელი ცხრა- თათა ზღვის ცხოველი.

XX

იგერიის ეკლესია

წმ. მეფის დახუთ აღმაშენებლის დროს

საზოვადოთ საქართველოს ისტორია ჯერ იმ წრეშია, რომ მას ისტორია არ ეთქმის. ის არის მხოლოდ ისტორიის მასალა. ამ მასა- ლაში მრავალი ბალახ-ბულახია და მრავალი მარგა- ლიტებიც მოიპოება. მაგრამ იმ მარგალიტების ამა-

სარჩევად და გასაწმენდათ ათი და ოცი წელიც არ კმარა. ყოველს ფაქტს თავისი კერძო მეცნიერული გამოკვლევა სჭირია, მისი დაფასება საჭიროა სინქრო- ნიული საბუთებით, მისი შემოწმება საჭიროა ფილო- ლოკიური, არხეოლოგიური, ეთნოგრაფიული, სო- ციალური კვლევით და ისეთი ფაქტებით, რომელნიც მოიპოვებინა სომხეთის, ბიზანტიის, სპარსეთის, ოსმა- ლეთის, საბერძნეთის, რომის და ევროპის განათ-

ლებულთა ერთა ისტორიულს გამოძიებაში. მარტო ჩვენს მატრიანებზედ, ან ეახუშტის და თეიმურაზის ისტორიებზედ ვინც დაემყარება და ვინც მხოლოდ ამ წყაროებს მიჰმართავს ახალი გამოკვლევისა და შეგნენების წინააღმდეგ, ვინც ამბობს, რომ რადგან ამ ქართულ წყაროებშიც ეს ახალი შემოქმედება და გამოკვლევა არ არის მოსწინებელი, ამისთვის სი- ცრუე უნდა იყოს, ან არა და ვინც ამბობს, იქ იმ წყაროებში სულ სხვა ნაირად სწერიაო და ახალი მკვლევარი რას ბოდავსო,—ამისთანა მესტორიე და კრიტიკოსი ჰგავს სიბნელით თვალედ-დაბრმავე ბულს, რომელიც მშის შუქზედაც რომ გამოიყვანო, მაინც იძიბის წყურდილი ღამეა, აქ სინათლეს რა უნდაო. სწორედ ამ გეარს კაცებს მიემზავებიან ჩვენი კრიტიკოსები, რომელნიც ყოვლად უშატიოდ შეგნებინან და განუეთიარებელს ტეტიაურს კიყინას დასცემენ ხოლმე ყველას, ვინც ახლად გამოკვლე- ულს საბუთს წარმოადგენს; მაგრამ ამ საჯანზე ჩვენ უფრო დალაგებით მოვილაპარაკებთ შემდეგში; ახ- ლა კი ჩვენ მხოლოდ აღვნიშნავთ იმ სასამოებრო მო- ვლენას, რომ ჩვენი ამ მეოთხმოც-და-ათე წლებში სა- ასპარეზოდ გამოხსულს თაობას ემწინევა სასუგეზო ნი- შნები მომავლის ნაყოფიერის მოღვაწეობისა. ერთს ამ ახალგაზდათაგანს ბ-ნი ილია ფერაძეს კანდიდატის ხარისხის მისაღებად აღვნიშნავს ფრიად საინტერეს- სი მიმწერე ჩვენს საეკლესიო ისტორიასა—დავით აღმაშენებლის დრო. მართლაც რომ სულზე მისწრ- ბა ამ ფამად ასეთი გამოკვლევა. მიუცილებლად, ერთი უაღრესი მიზეზი ქართულ სამღვდლოების დაცემისა არის საეკლესიო ისტორიის შ უსწავლე- ლობა. მისი გულდასმით შემუშავება სხვათა შორის მითითების ჩვენს ქართულ სამღვდლოებს იმ გილთ-შესაზარავს მოკლებულზე, რომ ქართული ახალ- გავზდა უფროთის სულიერს მოღვაწეობას, მაშინ როდესაც არცერთი ისტორიულად დაჩაგრული ერი არ წამომდგარა ფეხზე მაღალ საღვდლოების თავეგამოუღებლად. და ჩვენ საღდა გვეყავს, ან საღდა გვეყოლება მაღალი საღვდლოება, როცა ყოველი უმაღლესი სასულიერო და სამოქალაქო სასწავლებ- ელში კურს დასრულებული ბერობას ზურგ აქცევს, და არ ჰსურს ერის სულიერი წინამძღვრობა. მაშერთი მითხარით, ვინ შეკრებს ამ წარა-მარად გაბნეულს საქართველოს სამწყსოს, ვინ გასკუდავს მას სარ- მჭუნოებით, ერთი ზრით და ერთი მიმართულებით, თუ თავისი უმაღლესი საღვდლოების მეთაურები მოუხალა? ახა, მივიხედ-მოვიხედლოთ. ვინლა გვეყანან? — ორი თუ სამი ენისკოპოსი და გათადა. როცა ესენი აღარ იქნებიან, საღდა იქნება ი' მწყემსმთა- ვარი, რომელიც ხალხს გულს გაუთბობს სამზობ- ლო ენაზე ქადაგებით. აქედან, რასაკერეცლია, ის

გამოვა, რომ სამწყსო მინც გაბნეული დარჩება სა- ბოლოვოდ.

აი, ამისთანა მდგომარეობაში სასამოებრო მო- ვლენა ბ-ნი ილია ფერაძის მეცნიერული გამოკლე- ვა, რომელიც ბევრს ქვეყნის გულმემატიკიერს ახალ- გაზბას დაუფიქრებს და მინახედნს, თუ რა უფრო გვეჭკრება ახლანდელს გარემოებაში?

„მწყემსის“ მე-15 და მე-16 №-ში აღბეჭდილია ბ-ნი ფერაძის თხზულების რეცენზია, დაწერილი კიყვის სასულიერო აკადემიის პროფესორის იენანე მალი- შვესკის მიერ. ჩვენ ამოვკრებთ ვაზეთ „მწყემსიდან“ რამდენსავე აღავს ამ რეცენზიისას.

ბ-ნი ფერაძის თხზულების შინაარს შეადგენს შესავალი, სამი თავი, რომელიც ტემის სავანს შეეხება და დამატება. შე- სავალში ავტორი შეეხება საშუაზრო მდგომარეობას აღმოსავ- ლეთისდას და აღმოსავლეთის ეკლესიისას, რომელიც გამოიწევა სელჯუკ თათრების მიძღვარებათ. აქვე ვეროდ ლაპარაკობს საქართველოს ასეთსევე არა სანატრელს მდგომარეობაზედ მე- თერთმეტე საუკუნის 80 და 90 წლებში. შემდეგ ამისა ავტო- რი გვიხატავს ხასიათს წმ. მეფის დავითის პიროვნებისას; იმ წმ. დავით აღმაშენებლისას, რომელმაც იმ საშუაზრო დროს თავს იდგა დეწული აღდგინა მკვდრეთით პოლიტიკური თა- ვისუფლება და ძლიერება საქართველოსი და დემყარება ივერისი ეკლესიაში ჯგერავანი კეთილ-წესიერება და კეთილ- წყობილება.

თხზულების პირველ თავს აქვს წარწერა: „გავრკელება და გამკლებდა ქრისტიანობის ივერიის ეკლესიაში წმ. მეფის დავით აღმაშენებლის დროს.

მეორე თავში ავტორი შეეხება საქართველოს ეკლესიის იერარქიის ცხოვრებას და საეკლესიო მართვლობას.

მესამე თავში ავტორი შეეხება ქართველთა განათლების მდგომარეობას დავით აღმაშენებლის დროს.

ავტორი გადმოგვცემს ცნობებს სკოლებზედ და განსა- კუთრებთ ათონის ივერიის მონასტრის სკოლაზედ, რომელ- მაც საქართველოს აულხარდ მონაწილე სახელოვანი მოღვაწე, ამავე თავში მოყვანილია სია ოკი მწერლის, რომელიც და- ვითის დროს ცხოვრობდენ, ავტორი მოკლედ შეეხება მათს ცხოვრებას, მათ ნაწერებს და ორიგინალის ნათარგმნს. მწე- რალთა რიცხვი მოხსენებულია თეთ თმ. დავითი, რომელმაც გარდა თავის „ანდერძისა“ დასწერა „გალობა სინანუ- ლისა“. თხზულების დასასრულში ნაჩვენებია საზოგადო ბა- სისათ დავითის მოღვაწეობის ივერის ეკლესიის სასარგებლოდ და მნიშვნელობა ამ მოღვაწეობისას არა თუ მარტო საქართვე- ლოსთვის, არამედ მთელ აღმოსავლეთის ქრისტიანობისათვის; დამატებაში ავტორი მოჰყავს თვის მიერ ქართულიდან რუსულ ენაზე გადმოთარგმნილი „ქტესის წყრა 1103 წლის რუსის კრებისა და გალობა სინანულისა“.

ბ-ნი ფერაძეს დიდი და ფრიად საძებრე ერთგულებით მი- უყვია ხელი თავის თხზულების სავნის შესწავლისთვის. იმას საფუძვლიანად ღრმად შეუსწავლია წყაროები და სხვა დასა- მზარებელი ნაწერები საქართველოს და იმის ეკლესიის ისტო- რიისას; ხელთვეშ ჰქონია გამოკვლევანი ქართულს, რუსულს, ლათინურს და ფრანგულს ენებზედ, რომელიც კი შეეხებინან აღმოსავლეთის საზოგადოდ და კერძოდ საქართველოს. დრო მეფის დავით აღმაშენებლისა, მისი მნიშვნელობა საქართვე- ლის ისტორიაში, საქართველოს ეკლესიის მდგომარეობა მის

დროს გარკვევით და საფუძვლიანად დახატულია. კების ღირსია ის კეთილ-მოკრძალება, რომლითაც ავტორი გვყვრება საქართველოს საუკეთესო მოღვაწეების სახელს და მათ ნაღწაწა. ბ-ნ ფერაძის თხზულება უნდა ჩაითვალოს ფრიად სასარგებლო განძად ივერიის საეკლესიო ისტორიისათვის, რადგან მასში შეგროვილია ბევრი ახალი განსაკუთრებული ცნობები; მისი თხზულება შემდეგ მკითგ შესწორებისა სასურველია აღიბეჭ-

დოს, როგორც ისეთი ნაწერი, რომელიც წარმოადგენს უბეველია, ინტერესს და საჭიროებას ახალი გამოკვლევისას ჩვენს საეკლესიო ისტორიულს მწერლობაშიაც.

იმედია ეს თხზულება მალე დაისტამბება ქართულს ენაზედ და გავრცელდება საქართველოს საღვდლოებაში, რომელსაც ძალიან უნდა სწუთროდეს ასეთი სულიერი წყაროს დაწავება.



ვილიამ ჰემსპირი *)

Wამასის წლის წინათ, იენისის 12-ს 1593 წელს ვილიამ ჰემსპირმა უძღვნა თავისი პოემა „იენერა და აღონისი“ იმ დროის სახელო-ენის სწავლულს, მფარველს ხელოვნებისა და ლიტერატურისას, ლორდს სუთჰამპტონსა, რომლის ქალი-შვილი იმ დღეს უკარს იწერდა. თუმცა მაშინ ჰემსპირის სახელი, როგორც უებრო მსახიობისა, მწერლისა და მოღოქსისა დიდად განთქმული იყო, მაგრამ ამ გარემოებამ მაინც გაუყვალა მას ახალი უფრო განიერი გზა დიდებისა. მას გაეღო კარი სასახლისა. ამიერიდან მან დაიჭირა თავისი საკვირველი ნიჭის შესაბამი ადგილი ლიტერატურის ასპარეზზედ. იმ დღეს იგი წარუდგინეს საქორწილო ნაღმის დროს დედოფალს ელისაბედს, რომელმაც მოწყალე თვალი გადააღო მის თხზულებებს და შეუყვარდა მათი კითხვა. ისეთი ძლიერი და სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა ყოველად შემხმლებელს დედოფალზე ჰემსპირმა, რომ მალე უბოძა სასახლის მწერლის წოდება. ამიერიდან მისი ნაწარმოებები უნდა წარმომდგარიყო სამეფო თეატრში.

ბედი ჰემსპირისა ბრწყინვალედ გადაწყდა. მას აქეთ ერის თვალში ერთი ინჯლისი იყო და მეორე

შექსპირი. ამისთანა ბრწყინვალე დაწინაურებას ხევა არეინ შესწრებოდა. ჰემსპირმა მოხიბლა ძლიერი ნიჭით მთელი საზოგადოება, სასახლე და დედოფალი. როცა თეატრში შექსპირის პიესებს ადგენდნენ, ტევა აღარ იყო, ბევრი გარედაც რჩებოდა ხოლმე. მის დაბეჭდილს თხზულებას ისე იტაცებდნენ, როგორც დამამეული ხალხი პურსა.

შექსპირზედ ლაპარაკობდნენ ყოველგან გამოჩენილს სახლებში, სწავლულს საზოგადოებასა, ყაბახნებსა, სასტუმროებსა და ქუჩებში. ისეთი კაცი არ მოიპოვებოდა მთელს ინგლისში, რომ ვილიამ ჰემსპირის სახელი არ სცოდნოდა. რაც კი ამის კალმით დაიწერებოდა, მაშინვე საყოველთაო საკუთრებად ჰხდებოდა: ან ისტამბებოდა ან არა და დაუსტამბავათა ადგენდნენ თეატრში.

მეტადრე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა 1596 წელს ჰემსპირის დაბეჭდილმა ლექსებმა—სონეტებმა და ტრაგედიათა „მეფე გენრიხ მეოთხემ“. დედოფალი უტყვროდა სცენაზედ ფალსტაფის ოინებაზობას, შადრევანივით ვაღმომჩქეფარე მოსწრებულს სიტყვებს და მარილიანს ხუმრობას. მეფის მზარბულებას, სიცილს საზღვარი არ ჰქონდა; უყვირდა საოცარი სიუხვე ჰემსპირის მახილ ნიჭიერებისა და ენა-მჭკვრობისა. მაინ უბრძანა დედოფალმა პოეტს, დაეწერა ისეთი პიესა, სადაც უმთავრესი გმირი თვით ფალსტაფი ყოფილიყო. ეს იყო მიზნები, რომ ჰემსპირმა დასწყერა სახელოვანი კომედია „ენდლზორის ნათლიდღებში“, რომელმაც მოიყვანა სასახლე, კარის დიდებულნი აუწერელს აღტაცებაში. ეს შეუდარებელი ტაიი ცულულუტა და გაიმეფრა კაცისა დღემდის ისეთივე უცბალია, როგორც იმ დროს იყო. მაგრამ უფრო დიდხანს, ძლიერ დიდხანს, საუკუნოდ იცოცხლებს

*) ამ სათაურით იყო ერთი შეწინიერი მოკლე წერილი გაზეთ „რუსულს უწყებებში“ მე-168 №-ში დასტამბული; გაზეთმა „იერიამ“ ამ წერილიდან გადმოთარგმნა შოლოდ ჰემსპირის ბიოგრაფიული ცნობა; მაგრამ ჩვენის აზრით ამ ცნობაზე კიდევ საინტერესოა იმ წერილში თვით პოეტის ნიჭის განმარტება. ჩვენ საჭიროად დავინახეთ ჰემსპირის სურათთან ერთად ამ განმარტების გადმოღება „კვალში“ და თანაც დავურთეთ ჩვენი შეშენება, რომ ქართველმა მკითხველმა უფრო მრაველი გამოხატულება შეადგინოს ამ უწარჩინებულეს პოეტზე პოეტთა შორის.

კაცობრიობაში ხსოვნა უდიდესის გენიოსისა და შეუდარებელის ტრაგიკოსისა, რომლის ქმნილებანი უკვე სამაის წელიწადი განუწყვეტლოვ აშეენებენ ყველა განათლებულის ხალხის თეატრსა...“

საკვირველია ამ კაცის ცხოვრება. მან იცოცხლა 52 წელიწადი; იგი მწერლობდა მხოლოდ ოცის წლის განმავლობაში და აღმოხატა მთელი ქვეყანა, წარმოსთქვა მთელი კაცობრიობის სიბრძნე. მაზედ უღრმესად კაცის გულში სხვას არავის ჩაუხედავს დედა-მისის ზურგზე. 1610 წელს შექაპირმა უტაბო



ვილიამ შექაპირი

შესწყეიტა წერა, თითქოს აღასრულოა ლეითური დანიშნულება კაცობრიობისადმი და შემდეგ ვაკმინდა ჩმა, დაუბრუნდა თავის ოჯახს, კოლშვილს, რომ ექვსი წელ იწადი კიდევ ეცოცხლა მშვიდობიანად, ტბილად, შეუშფოთებლად და ბედნიერად თავის საყვარელს კოლშვილში. დღეს მისი თხზულება შეადგენს მთელის განათლებულის ქვეყნის სიბრძნის წყაროსა. ყოველს ინგლისელს შექაპირის თხზულება თან დააქვს. მისი სახარება ის არის მასში ენებს იგი თავის გონების საუნჯეს. ს. დ—ე.

კრედიტი და მისი მნიშვნელობა

ჩვენი ხალხის ეკონომიკური მდგომარეობას წარმატებისთვის

Земля одинъ изъ факторовъ производства и основаніе народнаго богатства. (ეკონომიური აქიომა)

„Никакое общество не можетъ пользоваться процвѣтаніемъ и быть счастливымъ, если большинство членовъ его бѣдно и несчастно.“

ა. სიტო.

(შემდეგი *)

შ აგრამ უკანასკნელ ხანამდე რამდენად აკლდებოდა მამული თავდაუნაურობას, თითქმის ამდენადვე ემატებოდა გლეხობას მიწა წყალი. თუ პირველ დროს, გლეხების განთავისუფლებას შეზღვევ მხოლოდ ათობით და ასობით ეხედავდით

მიწის მოსაკუთრე გლეხებს, ახლა ათასობით ითვლებოდა მათი რიცხვი. გლეხ-კაცობა უფრო და უფრო ეწაფება ნადლეების შესყიდვას და ისე წერილ-წერილადაც იძენს თავის საკუთრებათ მამულს. ქუთაისის გუბერნიაში 48,261 საბატონო კომლია. ამათგან 23,407 კომლს მთავრობის დაუმზარებლად 1889 წლამდე შეუსყიდნა 104,165 დსეტინა, 4,833,258 მანათად დირებული. ტფილისის გუბერნიაში, თუმცა შესამჩნევად ნაკლებია დახსნილ გლეხთა რიცხვი, მაგრამ აქაც 1890 წლამდე 2777 კომლს საკუთარი მიწა ჰქონია *). ასეთი სანუგეშო მოვლენა ემჩნეოდა აქამომდე გლეხ-კაცობას. ამ ბოლო დროს კი ეს აღარ ითქმის. გლეხობასაც გაჰკირავებია საქმე და თავდაუნაურობისაგან გატკვნაღ გზას მიჰყოლია. აი, ამის დამასაბუთებელი მაგალითებიც.

*) იხილეთ უკვალის * მე-35 №-ი.

*) იხ. „Сводъ статист. данныхъ о землевладѣніи въ Тифлисской и Кутаисской губ.“

შარშან „იერიკი“ მე-132 ნომერში კორესპონდენტი ნაფარეულიდან (თელაის მაზრაში) შემდეგ ამბავს იუწყებოდა:

„1871 წ. ს. ნაფარეულშიას ორმოც-და-ოთხმა კომლმა გლეხმა შეისყიდა თავის მებატონე თ. დავით ქვეყანისაკან ნადელით მიზომილი ვენახები, სახლ-კარი და მიწების მიწები. მარტო სახნავი შეიკადა 1400 დლიურსა. მამული დაფასდა 50,000 მან. მაგრამ რადგან გლეხებს არ მოეცემოდა ამოდენა ფული ხელში, ამიტომ იმათ სთხოვეს მთაერობას, გვასესხე ამისათვის საჭირო ფული და ჩვენ გაძლევთ პირობას ყოველ წლიე წერილ-წერილად გადავიხადოთ ეალი სარგებლითო. მთაერობა დათანხმდა და ასესხა გლეხებს 50,000 მან. ექვთი პროცენტით, ასე რომ ყოველ წლიურ გადასახადს შეადგენდა 3000 მან. ცოტა მეტეს სრულიად ეალიდან განთავისუფლებას-კი უნდოდა 49 წელი. ამ სახით, ნაფარეულელები მოსაკუთრენი გახდნენ. გავიდა მას აქეთ ოცი წელი და ახლა კი მათი ბედი ასე დატრიალდა. წლიური გადასახადი 3000 მან. სხვა გადასახადებთან ერთად მძიმე ტვირთად დააწვა გლეხებს და ამიტომ ეერ შექონდათ ფული სრულიად; ნელიმიკა თან-და-თან იზრდებოდა და ახლა თითქმის 29 ათას მანეთამდე ითვლება. თავის ეალს მხოლოდ ცხრა ათასი მოჰკლებია, ასე რომ ახლა ნაფარეულელებს სულ მართებთ 69 ათასი მან. რადგან ამოდენა ეალის გადახდა შეუძლებელად დანიახა სოფელში, ისიც ადგა და მიმართა საუფლოსწულო მამულის გამგეობას იმ წინადადებით, რომ ეს მთელი ჩენი ნადელები, 1400 დლიური მიწა სავენახეთი გამოსადგეია, იყიდეთო პირობით, რომ იმ მთაერობის ეალი სულ ერთიანად თქვენ გაისტუმროთ, ჩვენ კი მხოლოდ სახლ-კარი და ვენახები დაეკუთვნეთო.“

როგორც იხმისო, ათაეებს წერილს კორესპონდენტი, გამგეობა თანხმდება ამ პირობაზედ და დაუწყია კიდე ამ მამულების ყიდვის შესახებ მიწერ-მოწერა, სადაც ჯერ არსა.“

აი, მეორე სამწუხარო ამბავი. კორესპონდენტი სიღნაღიდან (იხ. „იერიკი“ № 77, 1893 წ.) ამბობს რომ იქარე გლეხ-კაცობის წლიეწადელ გაკირებულ მდგამარეობაზედ სიმშლის გამო, სხვათა შორის სწერს:

„გლეხ-კაცს რომ გაუჭირდება, ჰყიდის საქონელს და მით იბრუნებს სულს. ახლა რაღასა ჰყიდის გლეხ-კაცობა საქონლის საშავიეროდ? ჰყიდის მამულს, ნაფუძვრებს, ვენახებს, ჰყიდის სავენახეს. ან

სასახლე ალავს, ანუ სახნავ მიწას. „მაშ რა ევნა, კლ-შვილი მებატება სიმშლითაო“. მაწუხე მამადგარა საქმე და ჯერა. იმ მიწებსა ჰყიდიან, რომელიც, ეინ იცის, რა შავი დლითა და ეი-ევაღახით აქეთ ნასყიდი და შექენილი.“

ნუ გვგონიათ, რომ ეს მხოლოდ იშვიათი მაგალითებია. ასეთი ამბები ბევრი ხდება ჩვენ კურსხეულ საქართველოში.

ეს განა გულ-დასაწყვეტი და გულთ-შემზარავი მოეგონა არ არის მისთვის, ეისაც ცოტად ნად მიანც შესტყევა გული ქვეყნის ინტერესებისთვის? ასეთმა ამბებმა ძლიერ უნდა დააღონოს კაცი ტმისცე გამოურკვეველ, სასოწარმყეთელ ფიქრებს. განა, ასეთი უნდა შეიქნეს ჩენი ბედი? ყველა ასეთი გოლოგრილობაც გავანობა ჩენის მხრით შეუვალად რაში? ლკრმან-ტოვის სიტყვები: „Къ добру и злу постыдно равнодушны...“ (აი და კარგი, ჩენდა სასარტოთ, ერთი ჩენთვის) — თითო ზედ ჩენ ზედ არის გამოკრილი. ცოტა ღრმად ტდაეკირებებით დაეაქერ დეთ აქ ფაქტებს. გავსინჯოთ ისინი მომადელის და არა მარტო აწყო ინტერესების თეალით. რას გეუბნებებიან ისინი? იმის მეტს არაეერს, რომ თუ ჩენ ასე ეიზოკინებთ, ეაღონოალეებთ, ჩენი შთამომავლობა სულ ერთიანად ლტონს ანაბირად დარჩება; და რადგან უმიწაწლიდ დიდხანს ეერ ვასტანს, ამისთვის ქეეყანას ეეღარ ემსახურება კაცი, ძალზედ დასუსტდება არსებობის ბრძოლაში... და ბოლოს ცხოვრების ილაჯიც გაუწყდება. გავითვალისწინოთ ყოველიეე ეს და დავინახეთ, რა სამწუხარო ყოფაც მოელის ქართველ ერს. ბატონებო, ჩენი ადგილ-მამულები დილაე სხეებს დაეუთმოთ, მიყიდ-მომყიდოთ მხოლოდ მაშინ, თუ დარწმუნებულნი ექნებით, რომ ეს სხვის ხელში ჩენის ადგილენის გადასელა ჩენიეე სასიკეთოდ ექნება, თუ ჩენი მამული, სხვის მიერ წარმოებული, საერთოთ ჩენ ქვეყანას უფრო მეტ სარგებლობას მოუტანს, თუ ჩენთვის რაიმე სხვა საქმე უფრო უპროანი იქნება, ეიღრე მიწათ-მოჰქმედება და ყოველი სხვა წარმოება მიწაზედ დამყარებული. მაგრამ ერთი მიზრძანეთ, სად არის ეს პირობები? აბა, რომელი ბრიყვი და უმეცარი იტყვის, რომ ისინი, ეის ხელშეიაც გადადის ჩენი ადგილ-მამული, მავალითად ეპარ-ჩარჩები და კაბიტელებისტები, ეს მიწას შეუტეველი და მეურნეობის არა მიმდევარი კლასის, უფრო უკეთ მოულები და ხეირს დააყრის ჩენს ადგილ-მამულებს, ეიღრე ისინი, რომელთაც მთელის საუკუნოებით ხელში დაუფლიათ? ძლიერ საეეკეა, რომ არა მზენელ-მთესეელოთ ხელში მიწების გადასელამ

სამეურნეო პროგრესი მოიტანოს და არ აწიოს მიწათ ფლობელობას. ამ სახით, ჩვენ დადილი-მამულეების დაკარგვას ორნაირი ზარალი მოსდევს: ერთი მხრით, ამით სრულიად ეიღუბებოდა ჩვენ ქართველები, ეკარგებოდა უმთავრეს ჩვენს ქონებას, რომლითაც გვაღვია სული და მგორე მხრით, იღუბება, უძლურდება თეთი მიწა. სწორედ დასაფიქრებელია ეს გარემოება.

მამულების დაკარგვაში, თეთი გლეხ-კაცობას ევრავითარ ბრალს ეერ დაესდებოდა. რა დანაშაული აქვს უკან იმ ბუნებ არსებებს? იმას გაუჭირდა და ჰყოლის აქანასკნელ თავის ავლადილებას. საკვირველი და არა ჩვეულებრივი აქ არა არას რა ზემოდამოტანილი მავალითებიდან ეკუთვლილობით, რომ ერთ შემთხვევაში გადასახადებს და ათას სხვა ქირ-ვარამს ევლარ შეუძლო გლეხმა და მიანება თავი მიწას, მგორე შემთხვევაში მოუსაგლობამ ყოველ ქონებას გამომშვიდობა და ბოლოს მიწაც გააყიდინა და სხე. ეს ასე უნდა მომხდარიყო და ასე გათავდებოდა სხეიმისაც. ამა, ჩაყენეთ იგივე გლეხობა სხვა პირობებში, ამა, გამოუტყველეთ იმას ახლანდელი გაცვეთილი ნიადაგი, თუ მან თავი დაანებოს თავის ნაპავეცი, ოფლათ გაეწვით მიწას. იმას ეს ფიქრადაც აროდეს არ მოუფა. საქმეც ის არის, რომ თუ მას გაჭირდება უჩენე, გატყვევასაც გატყვენებს. რუსეთში შენიშნულია საზოგადოდ, რომ გლეხ-კაცობა გარბის, სტოეებს მამა-პაპეულს ადგილს, ჰყოლის ყოველ თავის ქონებას და ეტებს ბედნიერებას სხევან, სადაც ჩამგონებელთა აზრით, მისთვის ეითომ სამოთხე მხადდება. ახლა უნდა ჩაუტყვირდეთ, რა არის მისი სხევან გადახეწვის მიზეზები? მხოლოდ მაზედ არის დამოკიდებული ეს მიზეზი, თუ რაიმე სხვა გარემოებანი აძიქლებენ მას გადასახლებას?

ემიგრაცია (გადასახლება), რომელსაც მეტწილად მიეტყ საუკუნის დასაწყისიდან რაც დრო მიდის, თანდათან უფრო-და უფრო ძლიერდება, ამტკიცებს იმას, რომ მდაბიო წოდება ძლიერ შეეწირვობულ მდგომარეობაში იმყოფება. მუშა-ხალხი, რომელსაც თავის სახლ-კარზე და ადგილ-მამულზე ხელი აუღია, ევლარ უძლვებს იმ მუდმივ დამოკიდებულებას მიწათ ფლობელთა და კაპიტალისტთაკან, რომელნიც მას სულს უხუთენენ; აი, თავი მიზეზი, რომლის გამო მის სტოეებს თავის მშობელ კერას, ეთხოვება ნათესავებს, ნაცნობებს და მიდის სხევან საკუთარი ქონების შესაძენად, სადაც უნდა იყოს ეს უკანასკნელი, სულ ერთია, ოღონდ კი ახალმა ალაგმა მას მისცეს თავისუფალი უზრუნველი შემოსავალი; ჩვენ ეხე-

დათ, რომ ყოველ წელს ათი და ასი ათასობით სახლდებიან ევროპიდან აესტრალიაში, ამერკაში და სხ. ათასნაირ მიმივ შრომას და სიმწარეს იტანენ გზაზედ, ეთხოვებიან ევროპულ კულტურას მხოლოდ მისთვის, რომ ეგება უტხო მხარეში სამუდამო ბინადრობა აინიონ, დააღწიონ თავი იმ უმიწა-წყლო და უსახლკარო ყოფას, იმ აუტანელ სიღარიბეს, რომელშიაც ისინი იმყოფებიან თავის სამშობლოში. ამ სახით, ახლანდელი გადასახლება დაბალ წოდებათა ჩვენ უნდა მიეწეროთ არა ხალხის სიმრავლეს, არამედ იგი არის შედეგი ღრმა სოციალურ და ეკონომიურ მიზეზებისა, შინაური არეულობისა (неурядицы), როგორც მავალითად: უმიწაწყლობა, სიმკირე მიწისა, ხშირი მოუსაგლობა, დიდი გადასახადები, მიწების უსწორო განაწილება სხევა-და-სხევა წოდებათა შორის. როდესაც რომელიმე ტერიტორიაზედ უმიწრესობაა მიწათ-ფლობელთა, მაშინ უმრავლესობა ერისა ან სულ მოკლებულია მიწა-წყალს, სახლ-კარს, ან არა და ისე მკირე ნაწილი დარჩენილა მის წილად, რომ ეერ არჩენს, ასახრდოებს მას. მავალითებისათვის შორს არ წავალ. ამა, ერთი გამოკითხეთ რუკის გლეხ-კაცს, რატომ სტოეებს იგი თავის სამშობლოს და მიეშურება სხევაგან, ციმბირს, კავკასიას, იმერე-კასპიის მხარეს დასახლებულად. იგი მაშინვე ასე გიპასუხებთ: „ადგილი ბევრია, მაგრამ ხელთ არა გვაქვსო, ან ჩვენ ეერ გამოვიყენეთო... მიტოვაც მიდის შორს გადასახლებულად. მიწა ბევრია, მაგრამ მაინც მიდისო“. *) ან რა აძიქლებს პოლონელს ბრაზილიაში გადასვლას, თუ არ ისევე შინაური გაჭირება, უმიწაწყლობა? ასეა ყველგან და ასე იქმნება ჩვენშიც, თუ მალე ეურადლება არ მიეცეა ჩვენის ხალხის გაჭირებას, რადგან ერთი და იგივე მიზეზები ყველასთან და ყოველგან ერთსა და იგივე შედეგებს იწვევენ.

ემიგრებ, მამულების ასე თუ ისე დაკარგვაში დანაშავეა არა თეთი მხენელ-მთესველი გლეხ-კაცობა, არამედ ჩვენ, სხეები, რომელნიც უნდა ხელმძღვანელობდენ მისი ბედით, რომელნიც უნდა ზრუნავდენ მის ყოფა-მდგომარეობაზედ; დანაშავეა დღევანდელი ცხოვრების პირობები, რომელშიაც ჩაყენებულია ჩვენი გლეხი.

*) ი. ბ. ტომი ზღაგროვარტის თხზულებანი: „Устовъ“ № 397.

„Земли много, а не къ рукамъ, не у рукъ... Оттого и идти переселенцы... Земли много, а идти...“

როდესაც ვლადიკავობა მიწათფლობელობაზედ, ჩვენ არ შეგვიძლია არ აღენიშნათ კიდევ ერთი გარემოება, რომელიც აფერხებს გლეხთა მიწათფლობელობის გაძლიერებას, მის დატყვას, რომელიც უკანდის ამ ახლო მომავალში ქართველ გლეხ-კაცობას ერთიანად გათავისირებს და ბოგანო გლეხად გადაქცევას. ჩვენ ვაზნობთ იმ მამულების სიმცირეზედ, რომელნიც გლეხებს ერგო ნადელში საგლეხო დებულების ძალით. მოგვსენებთ, რუსეთში ბატონყმობის მოსპობის დროს გლეხებს მიეცათ ნადელში მამული ჩვენ გლეხ-კაცობაზედ ვაცოლებით მეტი; მაგრამ რუსის გლეხი მაინც მოდის და ტირის მამულის სიმცირეს და ეს ჩივილი დიად საფუძვლიანია... თუ ასეა საქმე დაყენებული რუსეთში, მაშ ჩვენი გლეხ-კაცობის მდგომარეობა მამულების სიდიდის მხრივ ხომ სულ მთლად წყალ-წადებულ იქნა და მართლაც არის კიდევ, ეს აზრი რომ ლითონ სიტყვით არეი მიიჩნიოს, ამის დასამტკიცებლად მოვიყვანთ შემდეგ საბუთებს:

როგორც გვიმტკიცებენ სტატისტიკური ცნობები *) მთელ ტფილისის გუბერნიაში ითვლებოდნენ საბატონო გლეხები, რომელთაც თავისუფლება მიენიჭათ, 13,230 კომლი, ანუ 57,632 სული მამრობითის სქესისა. ბატონყმობის დროს ამთ ხმარებაში იყო 69,987 დლიური სარწყავი და 85,300 დლიური ურწყავი. მას შემდეგ, რაც განთავისუფლდნენ, მიიღეს 45,935 დლიური სარწყავი და 50,513 ურწყავი; სულ სარწყავია და ურწყავი 96,448 დლიური; მაშასადამე ნახევარზედ ცოტა მეტი, ვიდრე ბატონყმობის დროს. ეს 96,448 დლიური მიწა მიეცა ნადელად მხოლოდ 12,712 კომლს, 1334 კომლი-კი უნადელად დარჩა, 386 — უსახლკაროდ და 110 — ბოგანოდ. კომლულად რომ ეიანგარიშოთ, დაეინახეთ, რომ თითო კომლს შეეხდა შვიდ ნახევარ დლიურზედ ცოტა მეტი, ანუ კომლზედ $3\frac{1}{4}$ დსეტახლა თუ კომლში ხუთი სული ჩაეგადეთ, როგორც ოფიციალური რიცხვი, მაშინ გამოდის, რომ თითო სულს მიეზომა უსტაენი გრამატით ორ დლიურზედ ცოტა მეტი. თუმცა ამასთანავე ჩვენ გლეხებს ევნახებოდა მიეცათ ნადელში, მაგრამ ეს ევნახები ბევრს არას შეადგენს. ასე იყო საქმე ამ ოცდაათი წლის წინად, როდესაც გლეხი ის-ის იყო გათავისუფლდა. ამ წინის განმავლობაში ეს 12,712 კომლი ერთი ორად იქცა, ასე რომ ახლა თითო სულს ხედება ერთი დღაურა, ანუ ნახევარი დსეტახლა. ნუ დაგვიწყობდა ისიც, რომ უნადლო გლეხთა რიცხვიც დღევანდლამდე

სამი ათას კომლამდინ ავიდოდა. უფრო მეტი სიმცირე იმჩნევა ქუთაისის გუბერნიაში, რომელსაც ამ მხრივ თითქმის ვერც ერთი კუთხე მთელ რუსეთის გუბერნიაში ვერ დაედრება. ვფანებთ, ესეც საქმარისია მისთვის, რომ წარმოვიდგინოთ, თუ რა ძნელ ყოფაშია და მომავალში კიდევ რა მწარე ბედ მოვლის ჩვენ გლეხ-კაცობას, თუ მას დროზედ არ ვშველია საიდგამე. მიწის სიმცირე ბევრნაირად მავნებელია: იგი მავნებელია სახალხო მეურნეობისათვის, რადგან მცირე მამულიანი გლეხი ეკონომიურად სუსტი არსებაა, მისი შრომა ნაკლები ნაწარმოებელია; მავნებელია თვით სახელმწიფოსათვის, რადგან ეკონომიურად სუსტი ელემენტები ხალხისა მძიმე ტვირთად აწევს სახელმწიფოს და მის მაჯიერ კი არაფერს აძლევენ მას და სხე, ამიტომ საჭიროა აღმოუჩინოს შემწეობა როგორც მთავრობამ მით, რომ თავისუფალი სახელმწიფო მიწები მიუზომოს უმამულო გლეხთ, აგრეთვე საჭიროა, მაღე და დაუყონებლოე დაეხმაროთ ჩვენც და მისცეთ ცხოვრების სახსარი იმათ, რათა ის მიწა, რომელსაც გლეხ-კაცობა ფლობს, ცოტა იგი თუ ბევრი, შერჩეს მას; ხელიდან არ გამოეცალოს და ამ მცირე მიწას განკარგებულ მეურნეობის წყალობით მეტი ნაყოფი გამოაღებოს, ვიდრე ახლა, ასე რომ მას შეეძლოს რიგიანად ცხოვრება, თავისა თუ ოჯახის გამოკება და ბევრ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. მაშინ მიწის სიტუაციეც ისე ვერ დააძაბუნებს და ვერ შეაწუხებს მას, როგორც ახლა. ბელგიაში, სადაც სასოფლო მეურნეობა მაღალ ხარისხზედ დგას, ხშირად ერთ ოჯახს, რომელიც შეიცავს 5 სულს უკავია მიწა ზომით $1\frac{1}{2}$ დესიატინა, მაგრამ მიუხედავად ამისა ასეთი ოჯახი არამც თუ ღარიბად ცხოვრებს, არამედ ბევრსაც ინარჩუნებს. თუ ერთ პატარა ნაჭერ მიწას ბელგიაში ასეთი დიდი ნაყოფი მოაქვს, ეს მით აიხსენება, რომ აქ განჩენილია უკეთესი სისტემა შემუშავებისა, სთესენ მხოლოდ საუკეთესო თესლს და ინახვენ უკეთესის ჯიშის საქონელს.

ჩვენ აქ ვათავებთ ვლადიკავობას თავადაზნაურთა და გლეხ-კაცთა მიწათფლობელობის აწყობა მდგომარეობაზედ. ახლა ვაკვრით შევეხებით ჩვენის სოფლის ზოგიერთ სხვა მხარეებსაც, შევეხებით იმდენად, რამდენადაც ეს საჭიროა ჩვენ მიერ აღძრულ კითხვისათვის.

გ. გველსიანი

(შემდეგი იქნება)

*) იხ. ივერია № 81, 1893 წ.

ღ ა ვ რ ი შ ი

(დასასრული*)



ატონო, თქვენ რამ მოგვიყვანათ საწყობების სადგომში? მკითხა მურშიდმა.

— მეც თქვენსაეთი დაერიში ვარ-მეთქი და ქვეყნებში დავირწი, დაუნაწალებ; მსულის გავიგო, თუ როგორ ცხოვრებენ ჩემისთანა კაცები, — ეუბასუხე მას.

— ეი, ულლავ! მაშ ჩვენ ძმები ცვაფილვართ, მითხრა მურშიდმა. ხელი ჩამოპართეა და მერე პირთან და შებღღთან მიიტანა.

— რა რჯულის ბრძანდებიან? მკითხა მან.

— სომეხი ვარ-მეთქი ეუბასუხე.

— სარწმუნოებით?

— ქრისტიანი.

უკანასკნელმა სიტყვებმა მოკვარეს მურშიდს ღიმილი.

— თქვენა თქეთ, რომ დაერიში ვარო, მაგრამ დაერიშებს რომ არც რჯული აქეთ, არც სარწმუნოება?...

ვიგრძნე, რომ შევცდი და ეუბასუხე:

— ჩვენ ასეთი დაერიშები ვახლავართ.

— მაგრამ ქრისტიანობის სარწმუნოების მქადაგებელი, მესია, სრული დაერიში კი იყო, — განაგრძო მან. ის იყო აჭა-მუჭა-ბეთებანის საკუთრება (სიყვარულის ხალხი, ანუ სიყვარულის მიზანი); მას სიმდიდრე სძულდა, საწყობების შემზარალებელი იყო და ნუგეზისმცემელი.

— დიად! ის ქადაგებდა სიყვარულს, ის შრომბდა, რომ მოეხსნა ტყვეთათვის მძიმე უღელი, ეუთხარა მე.

— მაგრამ მისი ჩამომავალნი, თქვენი ხალხები (საღვთებობა) არ შეიქმნენ თავიანთ მქადაგებლის ღირსეული მოწოდებით. მათ ქვეყანა და მისი პატრიუ შეიყვარეს და ყოველი სიწმინდე ანაცვალეს თავიანთ სურვილს...

ამ დროს დუქნის კუთხეში მწოლარი ხაფშიკის გალობამ გავაწყვეტინა საუბარი

— ჩვენ მას ამაღამ ძალიან მოჰკიდებია ბანგი, სთქვა მურშიდმა. ევ ჯერ ისევ ხარობს სიხმრებით.

ინდოვლმა იმ დროს ამოიღო თავის პარკიდან (ჯულბენდიდან) ერთი გრძელი ნაჭერი აფიონი, და-

მტერია, გაიგესა მუჭი და პირში ჩაიყარა. მე გამიკვირდა, აფიონის მხოლოდ ერთი ნაჭერიც სამყოფია, რომ მოსწამლოს თუნდ ძალიან კარგად მყოფი ადამიანი, მაგრამ მან შეპაჩივით შეტემა და გული არ აერია.

მურშიდმა კი გოგრის ყალიონში ჩასდვა ერთი ნაჭერი ბანგი და დააწყო მისი მოწევა. მეორეებმაც დაიწყეს აფიონის ჰამა და წევა; რამდენსამე წუთს შემდეგ პატარა ოთახი კიდევ გაიგესა სულის შეჩხუთავი ბოლითა.

ბანგისა და აფიონის დამთრობმა ძალამ დაიწყო თავისი გავლენა. დაერიშები თან-და-თან მხიარულობდნენ; მათ მეც მითავაზეს მოსაწევად თავიანთი ყალიონი; მაგრამ მე უარი ეუთხარი, ჩვეული არა ვარ-მეთქი, და მოუკიდე ჩემს საგარას.

ჩვენმა ლაპარაკმა დიდხანს გასტანა; მე შევეაზნე, რომ ეს დაერიშები ახლ-ჭაგატოს მიმდევარნი იყვენ, ესე იგი ქეშმარიტების მიმდევარნი.

მაგათ იმგეზარი ქეშმარიტება არა სჯერათ, რაც რომ საკვირელებით არა აქეთ გამოცხადებულთ. ამ ქეშმარიტებას რომ დაუხლოვდნენ, მათ უნდა გაიარონ შემდეგი ორი მუხლი: პირველი სიყვარული (მუჰაბბათი), რომელწევად ამყარებენ ყოველ სიკეთის საძირკველს, თარაგათა (წესებენ); ამ მოძღვრების ძალით კაცი მყვადინოებს სხვა-და-სხვა მარხებით და განდევნობით აღმოიკვეთას ყოველ ნაირი ხორციელი ლტოლვილება (ჯამბეი ჰეიენავათი), და გასუფთავდეს. განიწმინდოს და სრულიად სულიერი შეიქმნეს (ჯამბეი რუჰანათი). მაშინ თითონვე ახლოვდება ჰაგივათს, ესე იგი ქეშმარიტებას.

დაერიშები ბევრნი არიან, რომელნიც სხვა-და-სხვა მცნებას აღიარებენ, მაგალითად: დამრი, სუფი, ბაზი, ურაფა და სხვა. მათში სულ-დაბალნი მატყუარებიც არიან, მაგალითად, მკითხავები, მისნები, ჯადოსნები, ეარსკლავთ მტყველები, მეშუსიკენი და სხვა.

მოვლეს დაერიშები სძულთ, როგორც ურჯულონი, რადგან ისინი შარიათის*) წესდებულობას არ ასრულებენ. მაგრამ დიდკალობას, ესე იგი მაღალი წოდების ხალხს უყვართ იმათი სიბრძნის გავება და პატივს სცემენ.

დაერიშები, რომელნიც მანაწაღა მისიონერები არიან და სიბრძნის მომყენენი, იმათ უწყობიათ

*) სარსელების საეკლესიო და სახორციელო ყოველკანონებს და წესდებულებას შარიათს უწოდებენ. ამ შარიათის ისტორია ცალკე დაიბეჭდება „ჟვალში“.

*) იხილეთ „კვალის“ მე-35 №-ი.

შარიატ

სპარსეთის ხალხში ახალი ცოდნა შეიტანონ; მაგრამ მათი ნაკლებეულება ის არის, რომ იმათ ერთგვარი მიმართულება არა აქვთ, და ყველას თავისი ცალ-

კე აზრი აქვს. სხვათაშორის მათში თავისუფლად მოაზრენიც ბევრი არიან.

დ. ტრ-და—ცი,



«სხვამ რაც უნდა თქვას!»

მხია იმ გამოჩენილებულ პეტრეზე, რაც დემარტო, რომ წახსნა ლავამი და გაუშვა თავის ნებაზე, არ იცოდა, ვგ მოუვიდოდა ბატონო, აღარ დასჯერდა ლსამღვდელს სწავლას, ასწია და მაინცა-და-მაინც უნივერსიტეტში გაგზავნა. ესეც მისი უნივერსიტეტი, ოხმ დაკარგეს, მაშ ეხლა წაივლეს და სდიოს!...

— რომ ეგუბნებოდით, ეს რა ჰქენი, რატომ მიეცი ნება, ღვლად კურთხევაზე ხელი აეღო და სამოქალაქო ნაწილის სასწავლებელში გადასულიყო? ის არ გერჩია, ღვლად გკურთხებინა, სამუდამოდ შენთან დარჩებოდა, მოხუცების დროს მოგივლიდა და გასტორებდაო.—ეგ, შეილი კამეჩი კი არ არის, რომელსაც იმიტომ ზრდიან, რომ შემდეგ ტვირთი ეახიღებინათო.—დაიწყებდა ფილოსოფოსობას—მე ჩემი ღოო, ავად იყო თუ კარვად, მოცემე, ცალი ფეხი სამარეში მიდგია, ჩემი გულისთვის შეიღს გზას არ დავუშვამ, როგორც ჰსურს და მისთვის სამჯობინაროდ მიაჩნია, ისე წაიყვანოს თავის ცხოვრება. ჩემი შეილი აღარც უწლოვანია და არც სულელი, რომ ჩემი ხელმძღვანელობა სჭიროდეს, მე ერთი სოფლის უსწავლელი ღვდელი ვარ, მისოდენა რა გამეგება ცხოვრებისა. ეხლა ის არის! ბევრი რამ თუ გავეგებოდა და კაცი სტუდენტი ბრძანდებოდა, ზედვე დავტყუო!

— ბატონო, სემინარიში ყოფნის დროსაც ეტყობოდა იმას, რაც შეილი იყო: ღიღ-კაცი, უფროსი, წირვა-ლოცვა ფეხებზედ ეკიდა! მის წინ რომ გუმბრნატორს გაველო, ჯელს არ მოუხილდა. ვახსოვს, ჩვენმა ბლაღოჩინმა რომ ერთი უფროსი დაპატრევა სადილად. სულ ამ მაზრის ღიღ-კაცობა იქ იყო, იმ დღეს. იქაც კი არ მივიდა,—რა მინდა, მე იქ რა ხელი მაქვსო. ამისთანა კიდევ რამდენი მახსოვს მისგან!...

— აი, ჩენი გაბრიელის სტეფანე რომ არის, კაცი იმისთანა უნდა: ის სწავლაშიც წყნარი და მშვიდი იყო და ცხოვრებაშიაც ევთია. რაღაც რამდენიმე წელიწადია, რაც ის ღვლად ეკურთხა, მაგრამ მაინც კი ისე ვახდა, ი დატაკი მამის დატრეზული ოჯახი, რომ მეცის სასახლე გეკონება. წეიმაში რომ მდინარეს წყალი ემატებოდეს, ისე ემატება მის ოჯახს ქონება.

— რა ბრძანება, ღვდლისთანა უზრუნველი ცხოვრება ამ დროში სხვას ვის აქვს! ყოველწლივ ემატება ღვდლის ჯამაგირს ხაზინიდან. დაიღუბა, დაიღუბა საწყალი პეტრე! მისი ბიჭი, რომ რუსეთში არ გაეშვა და ღვლად ეკურთხებინა, ი ქოხი რომ უღვას, მის მაგიერ ეხლა იმისთანა სახლს გამოქიმავედა, რომ!...

— პეტრეს შეიღს კურთხევა ფეხებზედ ეკიდა! ეყარა ერთი ურემი წიგნი წინ და ჰქონდა დღე და ღამ შიგ ცხვირი ჩაფლული.

— სულაც იმ წიგნებმა გადაჩია ის.
— არა, კაცო, იმ წიგნებში იმისთანა კი ამბები კი ეწერა, რომა! მე რომ ის წამიკითხა, სახარება ეს არის მეთქი.

— თითონ ანდრომაც, თუ გულს დაგანდობდა, იმისთანა, იმისთანა ქადაგება იცოდა, რომ ქრისტეო იტყუადი.

— ვახსოვს, სემინარიიდან საზაფხულოდ რომ შინ მოვიდოდა, შეკრებავედა სოფლის ბავშვებს და უფასოდ წერა-კითხვას ასწავლიდა.

— ის კი არა, სოფელში რომ ეიყო, ღიღრონებსაც წერა-კითხვას დავასწავლიო, ამბობდა.

-- აბა, გაბრიელის სტეფანეო, რომ ამბობთ, სტეფანე ფეხსაც კი არ გადადგამს საწყალი კაცის გულსთვის. მდიდარიო, მე რაში მარგია მისი სიმდიდრე!

— მაშ, შენი ჭკუით, პეტრეს ანდრია ჯობია, რომ აღარც თავისას არგია და აღარც სხვას!

— ე, ამაგებს თავი დაანებეთ, ერთი ეს მითხროთ, რისთვის გაუგზავნიათ ი პეტრეს ბიჭი?

— იმ რაღაც წიგნების გამო, ეგ რომ ამბობს სხაბრება მეგონაო. სხაბრებუ თუ კაი რამ ყოფილიყო, აბა, მისთვის როგორ გაგზავნიდნენ!

— მერე რა ეწერა ნეტუ იმ წიგნებში?

— რა ეწერა და ბერი რამ ეწერა. ყველაფერი ახლანდელი ყოფა უნდა გამოიკვალოსო.

— მერე პეტრე ხუცის ანდრიას უნდა გამოეცვალა ჩენი ყოფა! ჰა, ჰა, ჰა!

— ეგ არა თქვი! ფეხზე წაღები ვერ გამოეცვალა და ჩენ ყოფას კი გამოეცვალა უპირებდა!

ამ წაირო მითქმა-მოთქმა და მსჯელობა ტრიალებდა მეზობლობაში დიდხანს მას შემდეგ, რაც პეტრე ღვდღის მოუვიდა თავისი შეილისაგან შემდგენი წერილი:

„ჩემო კეთილო მამაე!

„მე მგზავნიან, როგორც დამნაშავეს. ეიკი, ძლიერ დაიტანჯები ამ ამბით. მხოლოდ ერთი რამ, ეფიქრობ, შევიმსუბუქებს ტანჯვას: შენ, როგორც მამაშვილს, კარვად სცნობ და მიხედები კიდევ, ჩაიღებდი განა მე დანაშაულს, ნამდილ დანაშაულს?.. მოიგონე დედა იესო ქრისტესი, მარიამ და იმითი სახელით ანუგეგმე თავისთავი.

შენი შეილი ანდრო.“

აი, ჯიღოდა! თუთხმეტი წლის განმავლობაში ლატაკი, მოხუცი, შტატს გარეშე მყოფი ღვდღელი არასფერს არ ზოგავდა შეილის სწავლაში გამოზრდისათვის, ურისისდაც მცირე ლუქმას ანაწილებდა და სამ მეოთხედს მოსწავლე შეილს უგზავნიდა. როგორც იყო ამ რიგად გაიტანა საქმე ბოლომდე: მისი შეილი უმადლესი სასწავლებლის უკანასკნელ კურსზე იყო და სწორედ ამ წლის მაისში, თუ ივნისში უნდა დაბრუნებულიყო რუსეთიდან მამასთან სწავლა-დამთავრებული. ოჰ, რა სიხარულით მოელოდა მოხუცი პეტრე თავის საყვარელ შეილს, ანდროს, რომელიც, ოთხი წელი განმავლობდა, რაც არ ენახა! მაგრამ შეილის მაგივრად პეტრეს ზემოხსენებული შინაარსის წერილი მოუვიდა შეი-

ლისგან! რა უნდა ექნა ეხლა საბრალო მოხუც მამას, რომელსაც იმ ერთად ერთი ეფის მეტი, გარდა გათხოვილი ქალებისა, არა გააჩნდა რა? მერე კიდევ როგორ უყვარდა საბრალო პეტრეს თავისი ანდრო! ეინ მოთელის, რამდენჯერ უტყობია, მისი ნახვა რომ დაუფიანდა. როცა კოლი მოუყვდა პეტრეს, ანდრია სამი წლის იყო. იქიდან დაწყებული დედობაც გაუწია პეტრემ თავის ეფს და მამობაც. კაი ღვდაც კი ვერ იზამს იმდრობას, რაც პეტრეს თავისი პატარა ანდრო ხელით მიჰყავდა-მიჰყავდა იქით და აქით. უღვდობა არ დასწენვია, ისე გამოზარდა. „ღმერთმა ისე მომიწყო ხელი, რომ ფხბილიც კი არ წატეხია, ისე გამოეზარდე“ო სიხარულით ამბობდა პეტრე, რომ ხედავდა ჭკუა-გონებით და თელ-ტანადობით საღს შეილს. მამას და შეილს ნათესაობრივ სიყვარულს გარდა, როგორც საუკეთესო მეგობრებს, უყვარდათ ერთმანეთი. ანდრია ძლიერ ღინჯი კაცი იყო. მაგრამ როცა სემინარიიდან „კანკულეზზე“ შინ დაბრუნდებოდა, მამა და შეილი სატრფოსაგებ მოეხეოდნენ ერთმანეთს ყელზე. როცა რუსეთს მიდიოდა ანდრია, მამასთან გამოშვიდობების დროს უნდოდა თავი შეემგარებინა და ტირილი არ დაეწყო, მაგრამ მაინც პეტრეს ცრემლებით დაუსველდა ჭლარა წვერი. ეს რომ დაინახა, ანდრიაშაც ევლარ შემავრა თავი და მისი ღინჯი სახე ჩამოიღვარა დიდრონი ცრემლებით. ეხლა ყოველივე ამის მაკვირად რა დარბა პეტრეს ხელში? მისი ერთად ერთი შეილი, რომელსაც შესწირა ყოველივე, როგორც ეთქვით, გაგზავნათ და ეინ იცის, მოვიდოდა თუ არა. სოფელი ლანძღავდა მას და პეტრესაც ნიშის მოგებით ეუბნებოდნენ — „ეს არის შენი ჭკუიანი შეილი, კაი ხაქმე გიყო ამ მოხუცების დროს!“ ამას შემდეგ, რა თქმა უნდა, ყველა დარწმუნებული იყო, პეტრე დასწყველიდა, შეაჩენებდა თავის ეფს, რომელმაც, როგორც ხალხში ამბობდნენ, დანაშაულის ჩადენით დაავიჯირვებინა სწავლა და ამ საზიზლარი საქციელით გადაუხადა მამას ამაგი.

მაგრამ ხალხის იმედი გამტყუნდა: პეტრე ისევ ისე სიყვარულობით იხსენებდა თავის ეფს. „არა, ჩემი ანდრია დანაშაულს თავის დღეშიაც არ ჩაიდენდა, — ამბობდა პეტრე — ის არ იყო ვერცხლის

მოყვარე, რომ იმის გულისთვის ჩაედინა დანაშაული, არ იყო მომრუწმე, არ იყო გულ ფიტხელი, არ იყო კაცთ მოძულე, არ იყო სისხლის მოყვარე, არ იყო ბრიყვი, არა, ჩემი ანდრია არ ჩაიდენდა დანაშაულს. იმას კაცთ-მოყვარე გული აქვს, ის აღამიანის საენებელს არას იზამს. მე სხვებზე უფრო კარგა ვიცნობ ჩემ შვილს, მე სხვებზე უფრო კარგად მაქვს შესწავლილი იმის სული და გული. ვისაც ისეთი კაცთ-მოყვარე გული აქვს და სალი ჭკუა, ის აღამიანთა საეგებელს თავის დღეში არას ჩაიდენს. მისი იარაღი მოყვარული გული და სალი ჭკუა-გონება იყო. მაშ რისთვის დასაჯეს, თუ დამნაშავე არ ყოფილიყო, მეუბნებიან. უგუნური ხალხი! ვინც კი დასაჯეს ამ ქვეყნათ, განა ყველა ნამდვილი დამნაშავე იყო? დასჯით ქრისტეც დასაჯეს, ჯერას აცეს. მაშ ქრისტეს მოციქულებიც დამნაშავენი ყოფილან, რომ სასჯელს ქვეშ დაიბოცენ. არა, სხვამ რაც უნდა თქვას; ჩემი შვილი დანაშაული არ უნდა იყოს, დანაშაულობის ჩირქი არ მოეცხებოდ.

ის მხოლოდ იმისთვის ემღეროდა შვილს რატომ თან არ წამოიყვანა. „რა უშვედა წავეყვანე თან! მის სიახლოვეს ჩემთვის ჯოჯოხეთიც კი ტკიბილი იქნებოდაო“. ამბობდა ის. ის კი არ იცოდა საწყალმა პეტრემ, რომ დასჯილების ცხოვრება აგეთ რიგათ საპრაინო არ იყო.

პეტრემ დაიწყო ფულების გროვება შვილთან წასახლეოდ. როცა გზის ხარჯად საკმაო ფულს შეაგროვებდა, მისი ჭკუით, მთავრობისგან ნება უნდა ეღო და გამგზავრებულიყო თავის შვილთან საცხოვრებლად. მაგრამ აღარ მოესწრო საბარლო პეტრეს თავისი წადილის აღსრულება: ერთ დღეს უძლიერბად შვიქნა. მეორე და მესამე დღეს უფრო გაუძლიერდა ავადმყოფობა. უკანასკნელ გონება დაკარგა და მოჰყვა ბოღვა: „სხვამ რაც უნდა თქვას!.. ჩემი შვილი დანაშაული არ არის... ქრისტეც დასაჯეს... ჩირქს ვერ მოსცხებენ... კაცთ-მოყვარეობისთვის... შვილთან მივდივარ... შვილთან... და სხვა. ბევრი ისეთი რამეებიც თქვა პეტრემ ბოღვაში, რომ კარგადმყოფობის დროს არ მოუხერხებოდა. „ჩემი ანდრო მოვიდა, ჩემი ანდრო!... წამოიძახა უკანასკნელ და განუტყეა სული.

სახუმარო-გასწრთობი

წინაშართ ბალი ექნათ, ვარდა და ია მრავლობა, უცნო მცენარეთ ნერგება ნაირ-ნაირი ხარობდა; შიგ დაებულა ბუღბუღლას, ვით სირინაზხა გალობდა; მოყვარეს ღსინადა მაინდა, მტერი გულ-მაკად ჟაერობდა.

წალკოტში იდგა მუბაღე, ერთგული მცველი ბადისა, მმარგლაგი, გამოწმენდელი, მტერი ნარ-კელის, ღკარობისა. ხელში ეჭირა სასხლეკა, წარმკეთი რჭისა ავას; ვიდრე მსხედ იყო, ჭგუობდა ბადის წამხდენს არ ვისა.

ბოლოს მოხუცდა მუბაღე, ხელში გაკარდა სასხლეკი; თავი არ ჭჭოინდა ბადისა, დაეიწულა ნამაგევი. აღარც ირავდა წალკოტსა, არც იყო მისი დამდევნი; ღია დაგებო ტიშკარი, შესტა ღრუქუნა ნამშკეა.

ღრუქუნას ბედი ეწია, საზრდო იშოვა უხვად; გარბი-გამორბის წალკოტში კარდების დასახურუნდა; გაემდით მიუხტის ღრუქუნა ტამა-სმის დასაურუნდა; ნერგების ფესვებს ამოთხრის ბაღნარის დასათრუნდა.

ღრუქუნა დგას მიუხტის მცენამეტ გოჭკათათ; ბაღში ეკლას შემოიწკეკის, დინგანებს მისიეთათ. ღრუქუნების ჟარი მოდგა, ფრადონისა ვოკეთათ; წალკოტი სრულად ათხრეს და გახადეს სხულეთათ.

მთ ია-ვარდის ფესვები
 უგვიტოთ კბილებითა;
 უგვიღებო გადამკნარანს,
 ვერ გოცხლობენ ძირებითა;
 აღარ ატეგობენ სუხითა,
 თავის ფერის შეკნებითა;
 ბუღბუღივც გადაფერებდას,
 გულისტენი წულუღებითა.

ბოლოს შატრონი მოკიდა
 ბალის სახსავად:
 ნურგებს უცხო-უცხოას
 ფესვები უწანს აჯადა,
 ღრუსუნების სახირო
 ბაღში ტრიალებს შავადა.

„ვინ მიმტროა?“ — თქვა და ატრდა
 მართლაც გუდასსწავადა.

„შომეგარეთ ჩემი მებაღე,
 „ვისაც მივანდე ბაღა,
 „ერთგული, მროდნე საქმისა,
 „ჯანმთელი გულოთ სიღია“.
 — აღარ გუკვს შენ ის მებაღე,
 მწერად იქვს კაცი ღლია.
 სიბერემ დონე მოაკლო,
 დაჭკრა სისუსტის დაღა.

რედაქტორ-კომპიკემელი ნ. თ.-წერეთლისა.

განცხადებანი

სამეცნიერო და სალიტერატურო ვაშეთი

„კ ვ ა ლ ი“

ხელის მოწერა „კვალსე“ ამ 1893 წელს
 განვიტობა: გასეთი ნახევარი წლით ღირს
 გაგზავნით—4 მანეთი, სპი თვით—2 მანე-
 თი, ორი თვით—1 მანეთი და 50 კ. ვრთი
 თვით—1 მან. ადრესის გამოცვლა ღირს 60 კ.
 რედაქციის ადრესი: ღიდი ვოლოკოზნი ქუჩა,
 № 22 იევაზოვის სახლი.

პირველ დაწვავითი სასწავლებელი

ბილიის საერთიერთო დახმარებითა

აღმზრდელთა ძალთა საზოგადოებისა

გამართება

ამ წლის პირველ სექტემბრიდან სოლოლაკში
 ძველ-ინსტიტუტის ქუჩაზედ, ტერ-სატუროვის სახ-
 ლებში (საარტიტო საზოგადოების გვირდით). მოს-
 წ-ელეთა მოსაზნადებელს უმცროსს (სომხურსა და
 ქართულს) და საშუალო (რუსულს) განყოფილებაში
 მიიღებენ 20 აგვისტოდან ყოველ ღღე ღილით 9—12
 საათამდის და ნაშუადღევს 5—7 საათამდის.

მარიამ ივანეს ასული

ღემურიასი

განწესდა ტფილისის მესამე გნოფილე-
 ბის საქალაქო ბეზიით და დგას ტროიციის
 ჰერეულეკაში № 9.

საბალონო წარმოება

„როკვეი“

მისაილ სტეფანეს მის ბეთანიშვილისა
 ქ. ბათუმში.

ამ ბაღში მოჰყავთ ცხელი ქვეყნების, ორანჟე-
 რის და სახლის მოსართავი მცენარეები. აგრეთვე
 ისყიდება იმათი ნერგები და ყვეილების ძირები.

რადგან ქ. ბათუმში ცხელი, თითქმის ტრო-
 პიკული ჰავაა, ამისგამო ბეთანიშვილის ბაღში
 მოჰყავთ და უფლიან ძვირფას ტროპიკულს მცენა-
 რებს, რომელნიც ჩრდილოეთის გრილი ჰაერში არ
 ხარობენ და მსურველთ უფულონათ მათ გემოვნების
 სამებრ მოაპოვონ ყოველნაირი ამგვარი მცენარეები,
 რომელნიც ოთახის თბილ ჰაერში ხარობენ.

ბეთანიშვილის ბაღში არის ამ ყამად ორასი ჩა-
 ის ვარდისა, ბურბონისა, რემონტატივისა და სხვა
 ნაირი ვარდების ნერგები. ხეხილის ნერგები საუკე-
 თესო რუსეთის რეგოპის გვარისა, ორისა და სამი-
 წლისა, ფიქველი და ლიბანოს კედროს მგზავის ხე-
 ბის ნერგები; ჩირგველი მცენარეები ყოველგვარნი,
 რომელნიც მულამ მწვანობენ, ანუ რომელთაც ზამ-
 თრობით ფოთლად სცივით.

სია ამ მცენარეებისა დაბარებისათანავე უფა-
 სოდ იგზავნება.